# არქეოლოგიური ძეგლი ოროზმანი


## აბსტრაქტი

სამეცნიერო პროექტი მიზნად ისახავს ქვედა პალეოლითის ეპოქაში, აფრიკიდან ევრაზიაში ადამიანის საწყისი მიგრაციის შესახებ ჩვენი ცოდნის გაღრმავებას. ფოკუსირებით ოროზმანის ძეგლზე - მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენაზე, რომელიც 2019 წელს გაკეთდა. სამხრეთ საქართველოში, დმანისის მუნიციპალიტეტში, დმანისის არქეოლოგიური ძეგლიდან დასავლეთით დაახლოებით 20 კილომეტრში მდებარე ოროზმანი ევრაზიის უძველეს და ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლად იქცა.

აღნიშნული კვლევით დგინდება კორელაცია ოროზმანსა და დმანისის შორის, რასაც ადასტურებს ბაზალტის აბსოლუტური თარიღები, ფიტოლიტების ნიმუშები და ფერფლის ფენის შემადგენლობა. დასკვნები მიგვთითებს ადრეული პლეისტოცენის მსგავს თარიღზე 1.825–1.76 მილიონი წელი, Messager et all( 2011)

2019 წელს, გეგმიური დაზვერვების დროს მივაკვლიეთ ტბიურ სედიმენტებს რომლებიც ორ დათარიღებულ ვულკანურ ფენებს შორის იყო მოქცეული. იმავე წელს აღნიშნულ პროფილზე გაიჭრა 1 X 1 საცდელი ჭრილი, სადაც გამოვლინდა ოლდუვაის ტიპის ქვის არტეფაქტები და ფაუნის ნაშთები.

2021 და 2022 წლებში 20 $m^2$ ფართობზე ჩატარებული შემდგომი გათხრების შედეგად ადრეული პლეისტოცენის ფენებში აღმოჩენილი იქნა ფაუნის მრავალი ტაქსონი: Carnivora: Felidae (Homotherium sp.), Canidae (Canis sp.), Hyaenidae (Hyaenidae gen. et sp. indet), and Ursidae (Ursus sp.). Perissodactyla: Equidae (Equus cf. stenosis) and Rhinoceratidae (Stephanorhinus sp.). Artiodactyla: Cervidae (Large sp., medium sp.) and Bovidae (Bovinae gen. et sp. indet., Antilopinae gen. et sp. indet.). Proboscidea: Elephantidae (Mammuthus (Archidiscodon) sp.). Primates: Hominidae (Homo sp.).

ოლდუვაური ქვის იარაღები, და ადამიანის კბილი.

ამ ასპექტების შესწავლით, ეს კვლევა არა მხოლოდ ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის ადრეული ადამიანის მიგრაციის შესახებ, არამედ აფართოებს ჩვენს ცოდნას ქვედა პალეოლითის პერიოდში კულტურული და ტექნოლოგიური ევოლუციის შესახებ. დმანისთან და სხვა ევროპულ ძეგლებთან შედარება კიდევ უფრო ამდიდრებს კაცობრიობის ისტორიაში ამ გარდამტეხი ეპოქის კონტექსტუალურ გაგებას.